<u>დასარიგებელი მასალა</u>

სიტუაციური ამოცანები გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გვერდით მოვლენებზე

სიტუაციური ამოცანა 1: ქეთი არის 18 წლის გაუთხოვარი გოგონა, რომელმაც გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების პირველი დოზა ექვსი საათის წინ მიიღო. ის თქვენთან განმეორებით ვიზიტზე მოვიდა ჩივილით გულისრევაზე და შიშობს, რომ მეორე დოზის მიღებისას შეიძლება პირღებინებაც დაეწყოს. რა დახმარებას აღმოუჩენდით პაციენტს?

სიტუაციური ამოცანა 2: 32 წლის ლალი, რომელმაც ეს-ესაა მიიღო გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების მეორე დოზა. ის ძლიერ თავის ტკივილებს უჩივის. რა დახმარებას აღმოუჩენდით პაციენტს?

სიტუაციური ამოცანა 3: ნანა არის 22 წლის, გაუთხოვარი ქალბატონი, რომელსაც ღებინება აღენიშნებოდა გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების პირველი დოზის მიღებიდან 8 საათის შემდეგ. ის შიშობს მეორე დოზის მიღებას და რჩევის მისაღებად მოვიდა თქვენთან. რა დახმარებას აღმოუჩენდით პაციენტს?